# საკრებულოს წევრის, ლ ე ვ ა ნ  კ ი ლ ა ძ ი ს, ანგარიში ამომრჩეველს

მე, ლევან კილაძე, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,სოფელ მელექედურის მაჟორიტარ დეპუტატად.

ვარ ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს"წევრი.განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა კომისიის და ასევე აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი.

2014 წლის 2 აგვისტოდან- 2014 წლის 31 დეკემბრამდე საკრებულოს 14 სხდომაში მივიღე მონაწილეობა.აღნიშნულ სხდომებზე მიღებულ იქნა 100 განკარგულება,დამტკიცდა 49 დადგენილება .

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია"ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს " 5 სხდომაში ვმონაწილეობდი.

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 12,ხოლო აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის 10 სხდომაში მივიღე მონაწილეობა.

2014 წლის აგვისტოდან დეკემბრის თვის ჩათვლით ამომრჩეველთან ჩატარებული მაქვს 5 შეხვედრა,რომელთა მიმდინარეობის დროს წამოჭრილ იქნა შემდეგი სახის პრობლემები:სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა, გზის რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება, გაზიფიცირება და წყლის სისტემის აღდგენა.

ამ პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების თანადგომით შესაძლებელი გახდა სტიქიის შედეგების აღმოფხვრა.  დაზარალებულ ოჯახთა უმრავლესობას დაურიგდა სახლის გადასახური მასალები.

ასევე მელექედურის საბავშვო ბაღში შეკეთდა წყლის სისტემა.

2015 წლისთვის იგეგმება მელექედური -დვაბზუს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.